საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6476
28/10/2022

6476-21-2-202210281728

შპს „ანტონიჩს“
მის: ქ. რუსთავი, თორდიას ქ. №5ა
ელ. ფოსტა: tarash.daushvili@gmail.com; mosebaghdinovi@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5124 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. №21-ში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ტერიტორიაზე იგეგმება 4 მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსება, რომლის ჯამური მოცულობა შეადგენს 100 $м^3$-ს, რომელთაგან თითოეული რეზერვუარის მოცულობა იქნება 25 $м^3$". თუმცა, დოკუმენტში არ არის მოცემული, რამდენი რეზერვუარია გათვალისწინებული დიზელის და ბენზინის საწვავისათვის. შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში არ არის განხილული სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ნავთობპროდუქტების რეზერვუარების სასუნთქი სარქველების პარამეტრების (სიმაღლე, დიამეტრი) შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით „ჩამომსხმელი სვეტის ფარდული უზრუნველყოფილი იქნება ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების მიმღები ღიობით, რომელიც დაცულია ატმოსფერული ნალექებისგან და სრულად უზრუნველყოფს დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრებას“. დაზუსტებას საჭიროებს ნავთობპროდუქტების მიმღები ობიექტის (ღიობის) შესაბამისი მონაცემები და ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო